ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N5

ქ.თბილისი

29 დეკემბერი, 2021 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
ლევან არველაძე
ანა გოგოლაძე
ლევან დავითაშვილი
კონსტანტინე ზარნაძე
ანა კაკაბაძე
ნინო კვიტაიშვილი
ზვიად კუპრავა
ლილე ლიპარტელიანი
შალვა ოგბაიძე
გურამ ოქროპირიძე
ალექსანდრე რატიშვილი
რევაზ სოხაძე
გიორგი ჩაკვეტაძე
გივი ჩხარტიშვილი
ირაკლი ხელაძე
ლევან ჯაფარიძე
ბარბარა ჯიმელი სულაშვილი
აკაკი ალადაშვილი
საბა ბუაძე
მამუკა გუგეშაშვილი
ნინო ვარდოსანიძე
მარიამ ზაქარიაშვილი
ნიკოლოზ კახეთელიძე
ცოტნე კობერიძე
კახაბერ ლაბუჩიძე
ნათია მოდებაძე
გიორგი ონიანი
ლევან ჟორჟოლიანი
ნინო რუხაძე
ვახტანგ სურგულაძე
ზურაბ ჩიკვილაძე
ავთანდილ ცინცაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
სოფიო ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ მიმდინარე სხდომის დღის წესრიგით განსახილველად წარმოდგენილია მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ეხება, როგორც მერიაში, ასევე, საკრებულოში შრომის ანაზღაურების მატებას და იქიდან გამომდინარე, რომ ეს საკითხები ავარიდოთ პოლიტიკურ აზრთა სხვადასხვაობას, უმჯობესი იქნება მათი გადადება სამომავლო განხილვისთვის იმ ვადით, რა ვადაშიც მოვახერხებთ ოპტიმალურ მოდელზე შეჯერებას.

გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრები გაფრთხილებული იყვნენ, რომ მიმდინარე სხდომაზე განსახილველი საკითხები შესაძლებელია მათთვის მიწოდებული ყოფილიყო ფორს-მაჟორულ რეჟიმში, თუმცა, მოლოდინი ჰქონდა, რომ მასალების შესასწავლად მინიმუმ 24 საათი მაინც ექნებოდათ. აქვე აღნიშნა, რომ არ გულისხმობს სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების წესებს და საუბარია დღის წესრიგით წარმოდგენილ რამდენიმე საკითხზე, რომლებიც ეხება ქონების გასხვისებას. გიორგი ონიანმა ასევე, ისაუბრა შრომის ანაზღაურების გაზრდასთან წარმოდგენილ საკითხებზე და განაცხადა, რომ მისასალმებელია ხელფასების მატება ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც ჩვენი ქალაქისთვის ძალიან რთულ სამუშაოს ეწევა, თუმცა მათ აქვთ წინადადება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად აუცილებელია თანამდებობის პირებისთვის ხელფასების მატება ამ ეტაპზე და კარგი იქნება, თუ გავიზიარებთ საბა ბუაძის მოსაზრებას და აღნიშნულთან დაკავშირებით, პოზიციების შეჯერების მიზნით, გადაწყვეტილების მიღებას გადავდებთ სამომავლოდ.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ქონების გასხვისებასთან დაკავშირებული საკითხები საკრებულოს წარედგინა წინა კვირას და შესაბამისად, საკრებულოს წევრებს საკმაო დრო ჰქონდათ მათ შესასწავლად.

მამუკა გუგეშაშვილმა განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები მზად არიან, საკრებულოს უმრავლესობასთან ერთად, მთელი ენერგიით ჩაერთონ თბილისელების სასიკეთო საქმეების კეთებაში, თუმცა, შემჭიდროვებული ვადების გამო, ვერ ასწრებენ საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების სრულფასოვნად შესწავლას და აქედან გამომდინარე, თხოვით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, აღნიშნულთან დაკავშირებით მიიღოს შესაბამისი ზომები და საკრებულოს წევრებს მიეცეთ წარმოდგენილი მასალის დეტალურად შესწავლის შესაძლებლობა. აქვე განაცხადა, რომ მიესალმება ნებისმიერი თბილისელისთვის ხელფასის გაზრდას, თუმცა, იზირებს საბა ბუაძის და გიორგი ონიანის მოსაზრებას, რომ შრომის ანაზღაურების მატებასთან დაკავშირებით წარმოდგენილ პროექტებში არის ისეთი საკითხები, რომელსაც ეწინააღმდეგება.

გიორგი ტყემალაძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხებიდან, ნახევარზე მეტი, საკრებულოში შემოსულია წინა კვირას და შესაბამისად, საკრებულოს წევრებს ჰონდათ მათი დეტალურად შესწავლის დრო, თუმცა, თუ ვერ მოასწრეს კონკრეტულად რომელიმე საკითხის შესწავლა, შესაძლებელია მის გადადებაზე მსჯელობა. აქვე აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრებს, ყოველთვის ექნებათ საკმარისი დრო საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილი მასალების შესასწავლად.

ნინო კვიტაიშვილმა განაცხადა, რომ ძალიან მძიმედ აფასებს შრომის ანაზღაურების მატებასთან დაკავშირებით წარმოდგენილ პროექტებს, რადგან ის, რომ ყველა საჯარო მოხელეს ეზრდება ხელფასი, მისი მხიდან, აღქმულია, როგორც ცინიზმი. მისი თქმით, გაძვირდა ცხოვრება, ათასობით მოქალაქე ტოვებს ქვეყანას და მიდის ემიგრაციაში, „მათხოვრულია ხელფასები“ არა მარტო საჯარო სექტორში, არამედ უკვე გაკოტრებულ კერძო სექტორშიც, უმუშევრობა მძლავრობს, გაიზარდა კომუნალური გადასახადები, პროცენტი

სესხებზე, პროდუქტის ფასები და ამ ყველაფერს ემატება ისიც, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამვირებასთან ერთად, მაღალი რანგის საჯარო მოხელეებს, რომლებსაც ისედაც მაღალი ანაზღაურება აქვთ, კიდევ უფრო მეტად უნდა გაეზარდოს ხელფასი. მისი თქმით, ეს არის არა თანაბარი, არამედ დისკრიმინაციული მიდგომა მოქალაქეების მიმართ და ძალიან მძიმე შესაფასებელია ხელფასების ზრდა კლანური პრინციპით, რაც გამოიხატება იმაში, რომ რიგ შემთხვევებში შრომის ანაზღაურება იზრდება 10%-ით, ხოლო რიგ შემთხვევებში - თითქმის 40%-ით. განაცხადა, რომ იმ ადამიანებს, რომლებსაც ასე უნდა გაეზარდოთ ხელფასი, უნდა ახსოვდეთ, რომ მათი ძვირადღირებული ავტომობილებით მგზავრობა, ანაზღაურება და უზრუნველი ცხოვრება, რეალურად ვიღაცის წამლის, ვიღაცის პურის, ჭარმაგი მეეზოვის ან უბრალოდ, ბავშვის სათამაშოს ფულია და მიმართა კოლეგებს - „ვიდრე იმ სახით დაუჭერთ მხარს ხელფასების ზრდას, როგორც ეს არის წარმოდგენილი პროექტის სახით, ძალიან გთხოვთ, გაიხსენოთ „თბილსერვის ჯგუფის“ თანამშრომლები, გაიხსენოთ ყველა დაბალანაზღაურებადი თანამშრომელი და გაიხსენოთ ყველა ის ადამიანი, ვისაც უჭირს ამ ქალაქში ან უბრალოდ, გავიხსენოთ, რა გვაქცევს ჩვენ ადამიანებად“.

ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა განაცხადა, რომ მისასალმებელია საკრებულოს თავმჯდომარის მზაობა, რომ მომავალში, საკრებულოს წევრებს საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილი პროექტების შესასწავლად ექნებათ საკმარისი დრო, რადგან ეს არ არის ოპოზიციის ახირება, ეს არის დემოკრატიის პრინციპი. მისი თქმით, დემოკრატიის პრინციპული საკითხია ასევე, ისიც, რომ მთავრობის წევრები პირად ინტერესებს არ აყებდნენ მოქალაქეების ინტერესებზე წინ და ამიტომ, კარგად უნდა დავფიქრდეთ, რას ვაკეთებთ.

რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილი მასალების შესასწავლად, გარდა იმ დროისა, რომელიც გვქონდა, საკრებულოს კომისიების სხდომებზე იყო შესაძლებლობა, რომ შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლების მხრიდან მოგვესმინა დეტალური განმარტებები ამა თუ იმ საკითხზე არსებულ შეკითხვებზე და ამ მიმართულებით არავინ ყოფილა შეზღუდული, მით უფრო, რომ საკრებულოს თავმჯდომარემ რამდენიმე დღის წინ დააანონსა, რომ მსგავსი სიტუაცია შეიქმნებოდა იქიდან გამომდინარე, რომ არის წლის ბოლო. ისაუბრა შრომის ანაზღაურების მატებაზე და განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ბევრი რამე გაკეთდა ისეთი, რაც, მისი აზრით, იმ პერიოდისთვის იყო მიღწევა და ბევრი კარგი და საინტერესო რამ გაკეთდა. მათ შორის, ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო საჯარო მოხელეებისთვის მაღალი ანაზღაურების დანიშვნა, რაც ემსახურებოდა კორუფციული რისკების შემცირებას და კვალიფიციური კადრების სახელმწიფო სამსახურში მოწვევას, რაც, თავისთავად, იყო ლოგიკური და სწორი. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მხრიდან დღეს გაკეთებული განცხადებები თუ არ არის პოპულიზმი, მაშინ, რა შეიცვალა მას შემდეგ მათ მსოფლმხედველობაში, რადგან, როგორც დღეს, მაშინაც იყვნენ გაჭირვებული ადამიანები ქვეყანაში. ხოლო იმასათან დაკავშირებით, რომ რიგ შემთხვევებში შრომის ანაზღაურება იზრდება 10%-ით და რიგ შემთხვევებში - 40%-ით, აღნიშნა, რომ გასული ოთხი წლის განმავლობაში, საკრებულოს წევრები არ იღებდნენ კანონით დადგენილი რანგირების შესაბამის ხელფასს, ხოლო დღეს წარმოდგენილია ამ რანგირების გასწორება, რამაც გამოიწვია გარკვეულ პოზიციებზე ციფრების ასეთი სხვაობა.

ზვიად კუპრავამ განაცხადა, რომ „საქართველოს პრეზიდენტი არის სახელმწიფოს სიმბოლო და ეს სიმბოლო დღეს არის ოკუპანტის ტყვეობაში“ და გაიხსენა მიხეილ სააკაშვილის მიერ, 2003 წელს ნათქვამი სიტყვები, რომელიც ეხებოდა ედუარდ შევარდნაძეს: „პრეზიდენტი უნდა დარჩეს ქვეყანაში, ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენი ღირსების განცდა, ჩვენი ღირსების საკითხია, რომ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს დაედგომობოდეს თავის ქვეყანაში, ჰქონდეს სრულიად გარანტირებული უსაფრთხოება, ჰქონდეს სრულიად გარანტირებული საყოფაცხოვრებო პირობები, მისი ოჯახი უნდა იყოს დაცული, ეს არის ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანა“. მისი თქმით, ეს არის ქართული სტანდარტი, რომელიც დაამკვიდრა მიხეილ სააკაშვილმა და ყველამ კარგად ვიცით, რომ მისი ამ განცხადების

შემდეგ, ედუარდ შევარდნაძემ თორმეტი წელი მშვიდად იცხოვრა საპრეზიდენტო რეზიდენციაში. ზვიად კუპრავამ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ პრეზიდენტი არის სახელმწიფოს სიმბოლო, ის არ შეიძლება იჯდეს ციხეში და მიმართა საკრებულოს უმრავლესობას: „თუ ვინმე გეუბნებათ, მეგობრებო, რომ ეს თქვენ არ გეხებათ, ეს არის ტყუილი, იმიტომ, რომ პრეზიდენტის პატიმრობა ეხება საქართველოს ყველა მოქალაქეს“ და საკრებულოს გვაქვს გარკვეული ბერკეტი, თუნდაც განცხადების სახით, მივიღოთ ისტორიული როლი და შევაფასოთ დღევანდელი ვითარება, რაც საკრებულოს ავტორიტეტს და მნიშვნელობას ბევრად აამაღლებს საზოგადოების თვალში.

ზურაბ აბაშიძემ, საკრებულოს წევრების მიერ პროცედურულ საკითხებზე გამოთქმულ შენიშვნებზე აღნიშნა, რომ, როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ განაცხადა, ამ მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა, თუმცა უნდა ითქვას, რომ დღეს დილიდან საკრებულოს შესაბამისი კომისიების სხდომებზე დეტალურად იქნა განხილული მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილი თითოეული პროექტი და აქედან გამომდინარე, მისთვის გაუგებარია ამაზე საუბარი. ასევე, გამოეხმაურა შრომის ანაზღაურების მატებასთან გაკეთებულ განცხადებებს და აღნიშნა, რომ სურათის დახატვა ისე, თითქოს სახელმწიფო სტრუქტურების თანამდებობის პირები აპირებენ გამდიდრებას, არასწორია და თხოვნით მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს, საზოგადოებას ნუ შეიყვანენ შეცდომაში. ყველასთვის ცნობილია, რომ გაცხადებული იყო 2022 წლიდან, საჯარო სამსახურში დასაქმებული ყველა ადამიანისთვის ხელფასის გაზრდა 10%-ით, ხოლო რაც შეეხება იმას, რომ საკრებულოს თანამდებობის პირების ხელფასები იზრდება არა ათი, არამედ შედარებით მეტი პროცენტით, ამასთან დაკავშირებითაც გაკეთდა განმარტება, რომ წლების განმავლობაში, საკრებულოს არ უსარგებლია კანონით მინიჭებული უფლებით და დღეს ხდება სწორედ საკრებულოს დადგენილების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც, მისი თქმით, სწორი გადაწყვეტილებაა და იმაზე საუბარი, რომ ხალხს უჭირს და ჩვენ ხელფასებს ვიზრდით, არასწორია. ზურაბ აბაშიძე ასევე, გამოეხმაურა ზვიად კუპრავას მიერ გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ მიხეილ სააკაშვილმა, საკუთარი ნებით დატოვა ქვეყანა, გახდა უკრაინის მოქალაქე და იქ დაიკავა გუბერნატორის თანამდებობა, რის შემდეგაც უკანონო გზით შემოვიდა ქვეყანაში და დღეს არის პატიმრობაში და კარგი იქნება, მიბაძოს თავისივე პარტიის წევრებს, რომლებმაც ვაჟკაცურად მოიხადეს პატიმრობის ვადა.

ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ საჯარო სექტორში ხელფასების მატებასთან დაკავშირებით, ძირითადი არგუმენტები რაც მოისმინა არის ის, რომ საჯარო სექტორს, კერძო სექტორთან შედარებით, უჭირს შეინარჩუნოს კვალიფიციური კადრები, თუმცა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, კორონავირუსის პანდემიის განმავლობაში, ცხადად გამოჩნდა, რომ კერძო სექტორს აეკრძალა საქმიანობა და ამ სფეროში დასაქმებულებს მოუწიათ დანაზოგების ხარჯვა, ხოლო საჯარო სექტორში დასაქმებულ ადამიანებს შეუნარჩუნდათ არსებული ხელფასები და უფრო მარტივად გადაურჩნენ ამ პერიოდს. აქედან გამომდინარე, არასწორად მიაჩნია 2022 წელი დაიწყოს იმით, რომ უფრო დაჩაგრულ კერძო სექტორში იყოს ის მდგომარეობა რაც არის და საჯარო სექტორში იზრდებოდეს ხელფასები. ცოტნე კობერიძემ ასევე, ისაუბრა მიმდინარე სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხზე, რომელიც ეხება საპატრიარქოსთვის მობრავი ქონების გადაცემას და განაცხადა, რომ მართალია საუბარი არ არის ისეთი ქონების გადაცემაზე, რაც ბიუჯეტს დააზარალებს, თუმცა, საკითხი „სიმბოლურად მნიშვნელოვანია“, რადგან ეხება რელიგიური ინსტიტუტისთვის საბავშვო ბაღებიდან ქონების გადაცემას და თხოვნით მიმართა კოლეგებს, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინონ აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის დროს.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ საკრებულოში მიმდინარე პროცესი არის იმ პროცესის ნაწილი, რომელიც უფრო ფართოდ ხდება ქვეყანაში პოლიტიკურ ასპარეზზე, რადგან ბევრს ვსაუბრობთ ეროვნულ თანხმობაზე, პოლიტიკური ტემპერატურის დაწევაზე, კონსტრუქციულ პოლიტიკურ პროცესზე, თუმცა, როდესაც დისკუსია გადადის საქმიან რეჟიმში, თანხმობის მიღწევას ყოველთვის ართულებს ის, რომ, სამწუხაროდ, საკონსტიტუციო და არჩევით

ორგანოებს ვექცევით ისე, რომ არანაირი თანხმობის მიღწევა არ გვინდა. ამაზე მეტყველებს ის, რომ, ერთი მხრივ, გვაქვს რეგლამენტი, რომელიც დაარღვია თბილისის მერმა და საკრებულოში არ მოვიდა წლიური ანგარიშის წარსადგენად და ასევე, გვაქვს საკითხები, რომლებსაც ვიხილავთ დაჩქარებული წესით, თუმცა, შესაძლებელია მივაღწიოთ თანხმობას და გადაწყვეტილება მივიღოთ ერთსულოვნად ისე, რომ გათვალისწინებული იყოს ყველას ინტერესი. მისი თქმით, საჯარო მოხელეების ანაზღაურების ზრდა უნდა მოხდეს, თუმცა საუბარია ფორმაზე, პროცესზე და პროცედურაზე, რომელიც, აკნინებს საკრებულოს მნიშვნელობას, რადგან სამწუხაროდ, ვიღებთ ისეთ მოცემულობას, სადაც ვქმნით არაჯანსაღ პოლიტიკურ კლიმატს, სადაც არ არის საკითხებზე სიღრმისეული მსჯელობის შესაძლებლობა და რჩება განცდა, რომ საკრებულოს სხდომაზე საკითხები გამოდის მხოლოდ იმიტომ, რომ ფორმალურად მოხდეს თანხმობის მიცემა, რისი მონაწილეც არ უნდა იყოს არც თავად და არც საკრებულოს რომელიმე წევრი.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ საჯარო მოხელეებისთვის შრომის ანაზღაურების მატებასთან დაკავშირებული საკითხი არის ისეთი თემა, რომელზეც რამდენიც არ უნდა იმსჯელოს საკრებულომ, ვიღაცის მხრიდან, ყოველთვის იქნება პოპულიზმისთვის გამოსაყენებელი და დააფიქსირა თავის მოსაზრება, რომ აღნიშნულ საკითხზე მომავალში დისკუსიის გაგრძელება მიზანშეწონილად არ მიაჩნია. რაც შეეხება საკრებულოს როლის დაკნინებას, განაცხადა, რომ არათუ უნდა დავაკნინოთ, არამედ, პირიქით, უნდა გავზარდოთ მისი ფუნქცია, რაც დამოკიდებულია თითოეულ ჩვენგანზე და ჩვენ ამისთვის მზად ვართ.

ავთანდილ ცინცაძე გამოეხმაურა ზვიად კუპრავას განცხადებას, რომ მიხეილ სააკაშვილი არის ჩვენი ქვეყნის სიმბოლო და განაცხადა, რომ „ის არის სიმბოლო, თუ როგორი არ შიძლება იყოს პრეზიდენტი, თუ როგორი არ შეიძლება იყოს ქვეყნის ლიდერი". ავთანილ ცინცაძე ასევე, გამოეხმაურა შრომის ანაზღაურების მატებასთან დაკავშირებით ოპოზიციონერი კოლეგების მიერ გაკეთებულ განცხადებებს, აღნიშნა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები, წინა მოწვევის საკრებულოში, ბოლო ორი წელი არ ესწრებოდნენ საკრებულოს სხდომებს, თუმცა, სარგებლობდნენ ყველა იმ სიკეთეებით, რაზეც დღეს ვსაუბრობთ და დაინტერესდა, უჩნდებათ თუ არა კითხვები და რა პოზიცია აქვთ ამასთან დაკავშირებით დღეს საკრებულოში წარმოდგენილ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრებს.

ნინო რუხაძე გამოეხმაურა ზვიად კუპრავას მიერ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და დააფიქსირა თავისი მოსაზრება, რომ მიხეილ სააკაშვილი ადამიანების წამების, გირგვლიანის საქმის, 7 ნოემბრის და 26 მაისის მიტინგების დარბევის, ხალხის და სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი დანაშაულებების გამო არის გადაცემული მართლმსაჯულებას.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილი საკითხები, დღეს დილიდან განიხილებოდა საკრებულოს შესაბამისი კომისიების სხდომებზე, თუმცა, იზიარებს მოსაზრებას, რომ, როდესაც არ არის ფორს-მაჟორი, აუცილებლად უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება დიდი დრო გვქონდეს საკითხების სიღრმისეულად შესწავლისთვის და ეთანხმება გიორგი ტყემალაძეს, რომ ეს უნდა გაითვალისწინონ მერიის შესაბამისმა სამსახურებმაც, რათა საკრებულოს წევრებს ქალაქისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მისაღებად, ჰქონდეთ გონივრული ვადები. ლევან ჟორჟოლიანი ასევე, გამოეხმაურა მიხეილ სააკაშვილზე გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ, რა თქმა უნდა, ქვეყნის ტრაგედიაა, როდესაც უმაღლესი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი იხდის სასჯელს, თუმცა, საჭირო არ არის საკრებულოს ყველა სხდომაზე ამაზე საუბარი. ამასთანავე, პოლიტიკური ფარისევლობაა ერთი მხრივ, პატივს ვცემდეთ ინსტიტუტებს და ვაცხადებდეთ კონკრეტულ პიროვნებებს ქვეყნის სიმბოლოებად და მეორე მხრივ, მოქმედ პრეზიდენტზე ვწერდეთ და ვამბობდეთ იმას, რასაც ოპოზიცია წერს და ამბობს.

ნინო ვარდოსანიძე გამოეხმაურა ზვიად კუპრავას გამოსვლას და განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილმა დაამკვიდრა: „სტანდარტი - ყველა ციხეში, ტელევიზიების და აქციების დარბევის სტანდარტი, ბიუჯეტის გაფლანგვის და სხვისი ქონების მითვისების სტანდარტი, ქუჩაში ახალგაზრდების მკვლელობის და შემდეგ ამ დანაშაულებების დაფარვის სტანდარტი". მისი თქმით, ეს სია არის გრძელი და ამ დამკვიდრებული სტანდარტების გამო, ის იხდის სასჯელს.

კახაბერ ლაბუჩიძემ განაცხადა, რომ საჯარო მოხელეებისთვის შრომითი ანაზღაურების 10%-იანი ზრდა დაანონსდა ქვეყნის მასშტაბით. დღეს საკრებულოს სხდომათა დარბაზში მსხდომ ადამიანებს ძხარი დაუჭირეს, მათ შორის, თვითმმართველობის ორგანოების იმ მოხელეებმა, რომლებიც ოცდაოთხსაათიან რეჟიმში ემსახურებიან ქალაქს, რომელთა ხელფასების მატება არ უნდა გახდეს პოლიტიკური სპეკულაციის საგანი და ჩვენც უნდა დავუჭიროთ მხარი მათთვის სასიკეთო გადაწყვეტილებას.

გივი ჩხარტიშვილმა განაცხადა, რომ მიმდინარე სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები სრულად მორგებულია ჩვენი ქალაქის წინაშე მდგარი გამოწვევების მოგვარებაზე და სურს დაიჯეროს, რომ ოპონენტები მზად არიან ბევრი კარგი გააკეთონ ჩვენი ქალაქის, თანამოქალაქეების და ქვეყნისთვის, თუმცა მათი მთავარი პრობლემა არის ის, რომ არიან იმ პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლები, რომელმაც ქვეყანაში დაამყარა დიქტატურა და ძალადობა.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ შრომის ანაზღაურების 10%-იანი მატება რიგი ადამიანებისთვის არის 500 ლარი, ხოლო რიგი ადამიანებისთვის - 50 ლარი და ეს რომ ყოფილიყო გათვალისწინებული, რა თქმა უნდა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები მხარს დაუჭერდნენ ამ საკითხს. მისი თქმით, იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მართლა ზრუნავენ თბილისზე, არაფერია წარმოდგენილი 10%-ანი ზრდა, თუმცა თანამდებობის პირებისთვის, რომლებსაც ისედაც მაღალი ხელფასები აქვთ, სერიოზული ზრდაა და აქედან გამომდინარე, სწორი იქნებოდა ამ საკითხის გადადება, დეტალურად შესწავლა და ხელფასების თანაბარი პროპორციით გაზრდა. ლილე ლიპარტელიანი ასევე, გამოეხმაურა მიხეილ სააკაშვილის მიმართ გაკეთებულ განცხადებებს და მიმართა უმრავლესობის წევრებს: „სალომე ზურაბიშვილი უნდა გავასამართლოთ იმიტომ, რომ გამოიყენა თავისი დისკრეციული უფლებამოსილება და შეიწყალა თარაშ მუკბანიანის მკვლელობაში ბრალდებულები?.. 2022 წლის თბილისის ბიუჯეტიდან მერია გვირგვინებს რომ ყიდულობს, ამის გამო უნდა გავასამართლოთ კახა კალაძე თუ წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ არაფერი გსმენიათ?"

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ დედაქალაქის მერმა, მიმდინარე წლის 7 დეკემბერს, საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა თავისი საქმიანობის დეტალური ანგარიში და ასევე, სამომავლო ხედვები და გეგმები და იმაზე საუბარი, რომ კახა კალაძემ საკრებულოს არ წარუდგინა წლიური ანგარიში, არის პოლიტიკური შოუს მოწყობის მცდელობა.

შალვა ოგბაიძემ მიმართა ოპოზიციონერ კოლეგებს, რომ გაცნობის პირველივე დღიდან ცდილობს მათთან თანამშრომლობის გზის მოძიებას, თუმცა ამაში მათაც უნდა შეუწყონ ხელი. მისი თქმით, დეპოლარიზაციის პრობლემა არის რეალობის მიუღებლობა და თუ ჩვენ, ყველამ ერთად, არ ვაღიარეთ, რომ რაღაც ცუდი გადაგვხდა თავს, ვერ მოხდება ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა და ეხლა არის ის ისტორიული შანსი, როდესაც შეიძლება ამ პოლარიზაციის შერბილება.

ანა კაკაბაძემ განაცხადა, რომ მიმდინარე სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხებისთვის, რომლებიც ეხება ჯანდაცვის მიმართულებას, გადაწყვეტილების არმიღება პირდაპირ აისახება ჩვენი თანამოქალაქეების ჯანმრთელობაზე და მისასალმებელია, რომ თბილისის მერიამ შეიმუშავა პროგრამა, რომელიც ემსახურება გარკვეული დაავადებების პრევენციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს. ანა კაკაბაძე ასევე, გამოეხმაურა შრომის ანაზღაურების მატებასთან დაკავშირებულ საკითხებს და განაცხადა, რომ ხელფასების მატება

არის აუცილებელი და არა თუ გადავდოთ ეს საკითხი, არამედ, საჯარო სექტორში ხელფასები აქამდეც უნდა გაზრდილიყო.

ვახტანგ სურგულაძემ მიმართა კოლეგებს - „ერთმანეთს პატივს თუ არ ვცემთ, არ გამოვა არაფერი... დავანებოთ თავი წარსულს და ვაკეთოთ საქმე“.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2022 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

9. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში მდებარე 47.59 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007.01.1049) და ქალაქ თბილისში, ანა

პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში მდებარე 40.44 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007.01.1050) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის I შესახვევი N5-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.11.026.027) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, საყვირის ქუჩა N2-ის კორპუსი N2-ში, კორპუსი N4-სა და კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.167) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავარის ქუჩა N34-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 83.48 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.72.14.036.171.01.03.039) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქ.თბილისში, დიღმის მასივი, VI კვარტალი, კორპუსი N22ა-ს მიმდებარედ 46 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.03.031.022) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ელეგანტი 2017"-ისთვის (ს/ნ. 405222334) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „ოქსინოს" (ს/კ. 206028993) შორის 2020 წლის 31 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის N0-513-1-24980 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქ.თბილისი, არჩილ ამაღლობელის ქ.N24 (ს/კ. N01.14.08.007.064) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულების მიზნით, შპს „იქსორის" (ს/კ. 405168946) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

18. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ქსანი თაუერის"

(ს/ნ. 405475034) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ქსნის ქ.N28 (ს/კ. N01.12.08.003.003) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

19. „ქ.თბილისი, გორგასლის ქ.34-ში (ს/კ. N01.18.09.004.058, N01.18.09.004.059, N01.18.09.004.060) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს „მეტი დეველოპმენტის" (ს/ნ. 404541812) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

20. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

21. „ქ.თბილისში, ტაბახმელა, სოფელ წავკისში შპს „ტერა I ველი"-ის კუთვნილ ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 4 ივნისის N01/1094 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

22. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორია, ზონა „ა", სტალინის ქუჩა, ფიროსმანის ქუჩა, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.20.01.119.007; N01.20.01.119.009; N01.20.01.089.084; N01.20.01.119.006; N01.20.01.119.004; N01.20.01.119.002; N01.20.01.089.087; N01.20.01.089.085; N01.20.01.109.081; N01.20.01.109.084; N01.20.01.109.085; N01.20.01.109.087; N01.20.01.110.028; N01.20.01.110.029; N01.20.01.110.030; N01.20.01.119.005; N01.20.01.119.003; N01.20.01.119.001; N01.20.01.089.089; N01.20.01.109.094; N01.20.01.088.131; N01.20.01.109.080; N01.20.01.110.023; N01.20.01.110.026; N01.20.01.110.027; N01.20.01.110.025; N01.20.01.088.134; N01.20.01.109.083; N01.20.01.109.092; N01.20.01.109.093; N01.20.01.109.091; N01.20.01.088.133; N01.20.01.088.132; N01.20.01.089.091; N01.20.01.089.090; N01.20.01.089.088; N01.20.01.089.086; N01.20.01.110.024; N01.20.01.110.031; N01.20.01.109.086; N01.20.01.109.089; N01.20.01.109.090; N01.20.01.109.082; N01.20.01.109.079; N01.20.01.109.078; N01.20.01.109.088) სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე".

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით სიახლე არის ე.წ. 500 ლარიანი მედიკამენტების დაფინანსების პროგრამა სოციალურად დაუცველი პენსიონერებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არის 200000 ან ნაკლები და ასეთი, თბილისში არის 40000-მდე პენსიონერი. აღსანიშნავია, რომ პენსიონერები ამ ლიმიტის გამოყენებას შეძლებენ, როგორც ერთჯერადად, ასევე, აქვთ საშუალება გადაანაწილონ მთელი წლის განვალობაში. ამ დაფინანსების ფარგლებში, ისინი შეძლებენ მომსახურება მიიღონ ექიმთან ვიზიტისას და არ მოუწევთ მისვლა მერიაში ან გამგეობაში, რადგან ნებისმიერ საფთიაქო ქსელში ელექტრონულად მოხდება მედიკამენტების განაღდება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილი წესებით დარეგულირდება ჯანდაცვის შვიდი პროგრამა, რომელიც მოემსახურება რამდენიმე ათას ადამიანს. გათვალისწინებულია ისეთი პროგრამები, როგორებიცაა: დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამა, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამა, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამა, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამა, ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამა, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამა, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების და კვლევების დაფინანსების ქვეპროგრამა. წარმოდგენილი პროექტით არის ორი ძირითადი სიახლე: დაავადებათა სკრინინგის პროგრამაში შემოდის ორგანიზებული სკრინინგი და გაფანტული სკლეროზის პროგრამის ნაწილში, 2022 წლიდან, მერია თავის თავზე იღებს ამ პაციენტთა დიაგნოსტიკას ანუ ე.წ. „მრტ“ კვლევის დაფინანსებას.

ალექსანდრე რატიშვილი დაინტერესდა შედის თუ არა ცვლილება ონკოლოგიური პაციენტების დაფინანსების პროგრამაში.

გელა ჩივიაშვილმა განმარტა, რომ დაავადებათა სკრინინგი, ძირითადად გულისხმობს ონკოლოგიურ დაავადებებს და ცვლილება წარმოდგენილია სწორედ ამ მიმართულებით, რომ გადავდივართ ორგანიზებულ სკრინინგზე, რაც გულისხმობს, ასაკობრივი ზღვარის გათვალისწინებით, ადამიანების მიზნობრივად გამოძახებას პრევენციულ გამოკვლევებზე, იქნება ეს საშვილოსნოს კიბო, ძუძუს კიბო თუ სხვა. ასევე, გრძელდება ძუძუს კიბოს მედიკამენტების დაფინანსების და ტრანსპლანტაციის პროგრამები, რომლებიც ასევე, ონკოლოგიური მიმართულებაა.

რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ მერია არ აფინანსებს თვალის ოპერაციებს და დაინტერესდა რა პრინციპით ხდება შერჩევა და რატომ არ ფინანსდება თვალზე სამედიცინო მანიპულაციები. აქვე, გამოთქვა მოსაზრება, რომ თუ იქნება საშუალება, გავითვალისწინოთ ამ მიმართულების დაფინანსებაც, რადგან საკმაოდ ხშირია იმ ადამიანების მომართვიანობა, ვინც ამ კუთხით საჭიროებს სამედიცინო ჩარევას.

გელა ჩივიაშვილმა განმარტა, რომ ეს არის რეფერალურ პროგრამაში ჩართული თემა და აქედან გამომდინარე, მერია აფინანსებს გარკვეული სახის სამედიცინო ჩარევას. არ ფინანსდება გლაუკომა და კატარაქტა, რადგან, საყოველთაო დაზღვევის დაფინანსების ნაწილში, მაგალითად, კატარაქტაში ჩადებულია 100%-იანი დაფინანსება. ძირითადი სხვაობა არის ე.წ. ბროლზე, რომელიც საყოველთაოს ნაწილში არის ინდური, თუმცა ხშირად ხდება ამერიკული ბროლის შეთავაზება, რომელიც არის გაცილებით მაღალი ხარისხის, ვიდრე ინდური, თუმცა, შესაბამისად ღირებულებაც უფრო მაღალია. იქიდან გამომდინარე, რომ საყოველთაო სრულად ფარავს მომსახურებასაც და ბროლის დაფინანსებასაც, ჩვენ თანხა გადაგვაქვს იმ მიმართულებით, სადაც უფრო მეტია ამის საჭიროება - რესურსების გადანაწილება ხდება იმის მიხედვით, თუ რა დაავადება იწვევს უფრო მეტად მოსახლეობის ლეტალობას და ესენია: ონკოლოგია, გულ-სისხლძარღვთა და ძვალ-სახსროვანი დაავადებები.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, გასაგებია ის ლოგიკა, რომ თუ საყოველთაო დაზღვევა აფინანსებს 100%-ით, ჩვენ სახსრები მივმართოთ სხვა დაავადებებისკენ. თუმცა, სამწუხაროდ, საყოველთაოში მოცდის პერიოდი არის ოთხი თვე, ხოლო, როდესაც თვალის ოპერაცია გადაუდებელია და ადამიანი შეიძლება წავიდეს მხედველობის დაკარგვისკენ, ოთხთვიანი მოცდის პერიოდი არის ძალიან ხანგრძლივი.

გელა ჩივიაშვილმა განმარტა, რომ საყოველთაო დაზღვევას აქვს ორი ვადა: ხანრძლივი ვადით მოცდა პაციენტებს უწევთ, როდესაც ოპერაცია არის გეგმიური, ხოლო თუ ექიმი წერს, რომ ოპერაცია არის სასწრაფო დაყოვნებული, ამ შემთხვევაში მოცდის ვადა არის ხუთი დღე.

კონსტანტინე ზარნაძემ განაცხადა, რომ მოსახლეობაში ძალიან სერიოზულად დგას მენჯ-ბარძაყის დაავადებების პრობლემა და დაინტერესდა, არის თუ არა რამე დაგეგმილი ამ მიმართულებით.

გელა ჩივიაშვილმა განმარტა, რომ პენსიონერებს და შშმ პირებს აფინანსებს საყოველთაო დაზღვევა და მერია შედის თანადაფინანსებაში, თუმცა ინიცირებულია ენდოპროტეზირების პროგრამის განხორციელება, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში. მომავალი წლის რესურსიდან გამომდინარე, შესაძლებელია პროგრამა დაიწყოს მომდევნო წლის შუა პერიოდიდან ან 2023 წლიდან.

ნინო რუხაძემ აღნიშნა, რომ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების დაფინანსება გაზრდილია და დაინტერესდა, ხდება თუ არა ყველა ბავშვის დაფინანსება, ვისაც ამ მიმართულებით ესაჭიროება დახმარება, თუ დარჩენილი არის კატეგორია, რომლის მოცვაც ვერ ხერხდება ამ პროგრამის ფარგლებში.

გელა ჩივიაშვილმა განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც დაიწყო ეს პროგრამა, ამ მიმართულებით ყოველწლიურად იზრდება ბიუჯეტი. ამასთანავე, არის ასეთი პრაქტიკა, რომ ყოველი წლის პირველ კვარტალში ხდება მომლოდინეთა რიგში მყოფი ბავშვების ჩასმა პროგრამაში და ანალოგიურად იქნება 2022 წელსაც, პირველი კვარტლის დასრულების შემდეგ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

სოფიო ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხს მხარს უჭერს, თუმცა, ვერ მოასწრო კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება და ითხოვა თავისი ხმის დაფიქსირება.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების

წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი წესი ითვალისწინებს, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს დანგრეული სახლების მაცხოვრებელთათვის ქირის გადახდა. ამასთანავე, პროექტით წარმოდგენილია ცვლილება, რომლის მიხედვითაც გამგეობა, 300 ლარის ნაცვლად, 500 ლარის ოდენობით ქირის გადახდის შემთხვევაში, გადაწყვეტილებას მიიღებს დამოუკიდებლად, ხოლო თუ ქირის თანხა აღემატება 500 ლარს, ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილებას მიიღებს მთავრობასთან შეთანხმებით.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, წარმოდგენილი ცვლილება სწორი და ადეკვატურია.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი ცვლილება ემსახურება ბიუროკრატიის შემცირებას. აქვე აღნიშნა, რომ მთავრობის მხრიდან, ასევე, წარმოდგენილია დასუფთავების ოპერატორად „თბილსერვის ჯგუფის“ განსაზღვრა, თუმცა მიმდინარე სხდომაზე ვერ მოესწრო საკითხის წარმოდგენა და აღნიშნა, რომ იანვარში მოგვიწევს ამ დადგენილების მიღება და უკუძალის მეშვეობით, გავრცელდება პირველი იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ მიმდინარე წელს, ცენტრალურმა ხელისუფლებამ საჯარო მოხელეთა შრომის ანაზღაურების კუთხით, მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება და ზოგადად, საჯარო სექტორში განსაზღვრა საბაზო თანამდებობრივი სარგოს ოდენობა შედარებით მაღალი ლიმიტით ანუ არსებულზე 10%-ით მაღალი ზღვარით. აღსანიშნავია, რომ ეს გადაწყვეტილება ეხება საქართველოს მასშტაბით არსებული ყველა საჯარო დაწესებულების ყველა საჯარო მოხელეს და შესაბამისად, პროექტით წარმოდგენილი ცვლილებებით ხდება საკრებულოს დადგენილების ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაში მოყვანა.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ საბაზო თანამდებობრივი სარგო დგინდება ორი კომპონენტით: საბაზო სარგო, რომელსაც განსაზღვრავს ფინანსთა სამინისტრო და კოეფიციენტი, რომელზეც მრავლდება ანუ გვაქვს ორცვლადიანი მოცემულობა და ერთი ცვლადის ცვლილება არ ნიშნავს, რომ უნდა შეიცვალოს საბოლოო შედეგი. შეგვიძლია კონკრეტული კატეგორიებისთვის ან ინდივიდუალურად შევამციროთ კოეფიციენტი, რაც გამოიწვევს იმას, რომ ამ შემთხვევაში არ მოხდება ხელფასის მატება. აქედან გამომდინარე, არასწორია შეფასება, რომ „კანონი იცვლება და ჩვენც ავტომატურად ვცვლით“. მისი თქმით, საჯარო დაწესებულებას, მათ შორის საკრებულოსაც და მერიასაც აქვს დისკრეცია, აღნიშნული განსაზღვროს თავად. საბა ბუაძემ ასევე, განაცხადა, რომ საშუალო ხელფასით შრომის ანაზღაურების შეფასება არის ძველი და არასწორი მიდგომა, უკეთესი მიდგომაა შრომის ანაზღაურების განსაზღვრა მედიანური ხელფასით, რაც უფრო დაბალია, ვიდრე საშუალო ხელფასი და აქედან გამომდინარე, აქვს შეთავაზება დასკვნები გაკეთდეს მედიანური ხელფასიდან გამომდინარე. განაცხადა, რომ მიესალმება საჯარო სექტორში ხელფასების მატებას, თუმცა, ყველასთვის 10%-იანი მატება გამოიწვევს იმას, რომ გარკვეული კატეგორიისთვის შრომის ანაზღაურება გაიზრდება 500 ლარით, ხოლო გარკვეული კატეგორიისთვის - 100 ლარით, რაც, მისი თქმით, არასამართლიანია და როდესაც საუბარია

სამართლიანობაზე, გაცილებით სამართლიანი იქნებოდა ის, რომ პროპორცია არ იყოს მექანიკური და პირველადი საშტატო ერთეულის ხელმძღვანელებს, სპეციალისტებს, უფროს სპეციალისტებს და ზოგადად იმ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ დაბალი ანაზღაურება, ხელფასები მოემატოთ უფრო მაღალი პროცენტით, ხოლო თანამდებობის პირებს, რომლებსაც აქვთ გაცილებით მაღალი ანაზღაურება - შედარებით დაბალი პროცენტით. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ეს არის მისი შეთავაზება და სწორედ იმიტომ ითხოვა შრომის ანაზღაურების მატებასთან დაკავშირებული საკითხების გადადება, რომ ემსჯელათ, როგორი განაწილება იქნებოდა უფრო სამართლიანი და სწორი.

გიორგი ტყემალაძე გამოეხმაურა საბა ბუაძის განცხადებას და აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე წარმოდგენილია მექანიკური ზრდა საბიუჯეტო კოდექსიდან გამომდინარე, ხოლო ამ თემაზე თუ გვინდა მსჯელობა და მუშაობის დაწყება, ეს არ იქნება 2-3 დღიანი პროცესი და როდესაც საკითხი ეხება ათასობით ადამიანის ხელფასის მატებას, დღეს გადაწყვეტილების არმიღება არასწორი იქნება.

ანა გოგოლაძემ განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" მიესალმება საჯარო სექტორში დასაქმებული რიგითი ადამიანებისთვის შრომის ანაზღაურების მატებას, თუმცა მათი შეთავაზება არის განსხვავებული. კერძოდ, წარმოდგენილი ინიციატივით, თბილისის მერს არ ეზრდება ხელფასი, რაც არის მისი პოლიტიკური ნება და რატომ არ შეიძლება, იგივე პოლიტიკური ნება გავიზიაროთ თანამდებობის პირებმა, როგორც აღმასრულებელ, ასევე, საკანონმდებლო ორგანოში? ანა გოგოლაძე გამოეხმაურა განცხადებებს, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებაში დროსაც იზრდებოდა ხელფასები და აღნიშნა, რომ ნამდვილად იზრდებოდა ხელფასებიც და პენსიებიც, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებაში მოსვლის დროს იყო 14 ლარი, ხოლო შემდგომ გახდა 150 ლარი. მისი თქმით, თუ არ ჩავთვლით პანდემიის პერიოდს და ვისაუბრებთ 2019-2020 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებაში ყოფნის დროს ეკონომიკური ზრდა იყო 7%, ხოლო დღევანდელი ხელისუფლების პერიოდში არის 4%; ინვესტიციები იყო ისტორიულ მაქსიმუმზე, ეხლა არის ისტორიულ მინიმუმზე. საუბრის ბოლოს აღნიშნა, რომ გასაგებია, თუნდაც, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის გაძვირება, თუმცა, პრობლემა არა გაძვირებაშია, არამედ იმაში, რომ ადამიანების დიდი ნაწილისთვის ეს გადაადგილების შეზღუდვის ტოლფასია და განაცხადა, რომ ხელისუფლებას, რომლის ხალხისთვისაც ტრანსპორტით მგზავრობის 50 თეთრით გაძვირება, ტრაგედიის ტოლფასია, ხელფასი ერთ გაზრდაზე 2200 ლარით არ უნდა ეზრდებოდეს; იმ ხელისუფლებას, რომელმაც 20 ლარზე მეტი ვერ მონახა პენსიების გასაზრდელად, 2200 ლარით ხელფასი არ უნდა ეზრდებოდეს და იმ ქვეყანაში, სადაც საბჭოთა კავშირის რეპრესირებულთათვის 7 ლარია კომპენსაცია და ამ წლების განმავლობაში ამ კომპენსაციის გაზრდისთვის სახსრები ვერ მოიძებნა, თანამდებობის პირებს შრომის ანაზღაურება არ უნდა ეზრდებოდეთ 2200 ლარით და ხელფასი 7000 ლარი არ უნდა ჰქონდეთ.

ალექსანდრე რატიშვილის თქმით, გასაგებია, რომ საჯარო სექტორში ხელფასების 10%-იანი ზრდის შესაძლებლობა მოდის ფინანსთა სამინისტროსგან, თუმცა, ხომ შესაძლებელია, რომ, მათ შორის, მერიამ, შიდა განკარგულებით, გაზარდოს მთლიანი სახელფასო ბიუჯეტი 10%-ით, ხოლო გადანაწილება მოხდეს ისე, რომ დაბალანაზღაურებად თანამდებობებზე დასაქმებულების ხელფასები გაიზარდოს მეტი პროცენტით, ხოლო მაღალანაზღაურებად თანამდებობებზე დასაქმებულების - ნაკლები პროცენტით. მაგალითისთვის, ისაუბრა ბაღების სააგენტოს უფროსისთვის და საბავშვო ბაღის აღმზრდელებისთვის ხელფასის ერთი და იმავე პროცენტით მომატებაზე და განაცხადა, რომ სააგენტოს უფროსს, რომელსაც 6000 ლარი აქვს ხელფასი, შესაძლებელია საერთოდ არ გაეზარდოს შრომის ანაზღაურება, ხოლო აღმზრდელს, რომლის ხელფასიც 250-300 ლარია და 10%-იანი მატება მისთვის 25-30 ლარის მომატებას ნიშნავს, გაეზარდოს უფო მეტი პროცენტით.

ნინო კვიტაიშვილი დანტერესდა, რამდენ საშტატო ერთეულს მოიცავს მერიის პიარ სამსახური და რა რაოდენობის თანხაა ამ მიმართულებით განსაზღვრული. ასევე, თუ რამდენ საშტატო

ერთეულს მოიცავს დამლაგებელთა კორპუსი და რა მოცულობის თანხაა განსაზღვული ამ მიმართულებით.

რევაზ სოხაძის თქმით, საკრებულოში წარმოდგენილი პარტიები არიან მემარჯვენე, ცენტრისტული პარტიები, თუმცა მათი მხრიდან, ვისმენთ ულტრა მემარცხენე განცხადებებს. განაცხადა, რომ „მაქვს სურვილი და მინიმუმ ვთვლი, რომ სამართლიანია, მქონდეს იმდენი ხელფასი, რაც ღირს ერთი კვადრატული მეტრი „ლისი ვერანდაზე", რომლის ათიათასობით კვადრატული მეტრი გრგ მაქვს დამტკიცებული... არ შეიძლება ვიღებდე ამხელა პასუხისმგებლობას და ამ დროს, ჩემს მიერ დამტკიცებული ასი ათასი კვადრატული გრგ-ს ერთი კვადრატულის ღირებულების ხელფასი არ მქონდეს". აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში, საკრებულოს თანამდებობის პირების ხელფასის დაანგარიშება არ ხდებოდა იმ კოეფიციენტით, რაც ეკუთვნოდათ და აქედან გამომდინარე არის დღეს წარმოდგენილი ესეთი პროცენტული ზრდა. მისი თქმით, იმაზე საუბარი, რომ ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასაქმებულებს არ გაეზარდოთ ხელფასები და ამის ხარჯზე რიგით მოხელეებს გაეზარდოთ შრომის ანაზღაურება შედარებით მაღალი პროცენტით, არასწორია, რადგან ასი თანამდებობის პირისთვის ხელფასის არმომატება, ვერ გამოიწვევს მერიის ათასობით თანამშრომლისთვის ხელფასის გაზრდას 30%-ით.

თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს საჯარო მოხელეებისთვის ხელფასების ზრდას და თვლის, რომ ნებისმიერი პროფესიონალი საჯარო მოხელე, რომელიც დროულ პასუხს გასცემს მოქალაქეს და კომპეტენტურად მოემსახურება, ჩვენი ქალაქისთვის და ქვეყნისთვის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ საკრებულომ დაამტკიცა თბილისის 2022 წლის ბიუჯეტი, რომელსაც საკრებულოს ოპოზიციონერმა წევრებმა მხარი არ დაუჭირეს და განაცხადა, რომ მაშინ, როდესაც უარს ეუბნები იმ სიკეთეებს, რომელიც ამ ბიუჯეტით უნდა მიიღონ ჩვენმა თანამოქალაქეებმა, გაუგებარია ის, რომ დღეს გაგახსენდეს სოციალურად დაუცველები, საბავშვო ბაღის თანამშრომლები და ჩვენს ირგვლივ მყოფი უამრავი ადამიანი.

მამუკა გუგეშაშვილმა მიმართა რევაზ სოხაძეს, რომ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს პარტიის მემარჯვენეობას, მემარცხენეობას თუ ცენტრისტობას, ამ შემთხვევაში საუბარია გადანაწილებაზე. თქვენ, რომ საკუთარ თავს აფასებთ, ძალიან კარგია, მაგრამ საბავშვო ბაღის თანამშრომლები, რომლებიც დილიდან საღამომდე წვალობენ და თუნდაც, მერიის აპარატის თანამშრომლები, ნაკლებად მუშაობენ? ამ ადამიანებს რომ ხელფასი 100-200 ლარით ემატებათ, სწორია? სიცრუეა იმის თქმა, თითქოს ჩვენ ხელფასების მატების წინააღმდეგი ვართ, პირიქით, ჩვენ ორიენტირებული ვართ და ვითხოვთ, რომ გადანაწილება მოხდეს თანაბრად და სამართლიანად.

ნინო რუხაძემ განაცხადა, რომ მიუღებელია საჯარო მოხელეების დიფერენცირება იმის მიხედვით, თუ ვინ რამდენ ხელფასს იღებს. საჯარო სამსახური არის აპოლიტიკური სისტემა, ამიტომ, არ უნდა ემსხვერპლოს არავის პოლიტიკურ ბატალიებს და რამდენიც არ უნდა იყოს ამა თუ იმ თანამდებობაზე დასაქმებულის ხელფასი, ყველას თანაბრად უნდა მოემატოს შრომის ანაზღაურება.

ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ გარკვეულ ნაწილში ეთანხმება, როგორც საკრებულოს უმრავლესობის, ასევე, ოპოზიციის წარმომადგენლებს და გარკვეულწილად იზიარებს ორივე მხარის მოსაზრებებს. თუმცა, მისი აზრით, პანდემიის პირობებში გაცილებით მეტად დაზარალდა კერძო სექტორი და დღეს არსებული ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, საჯარო სექტორში, წელს, ხელფასები არ უნდა გაიზარდოს, მაგრამ თუ გაიზრდება, არ უნდა იყოს დიფერენცირება.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ თუ რომელიმე ჩვენგანი ან ნებისმიერი თანამდებობის პირი თვლის, რომ ბაღის აღმზრდელზე, რომელსაც მთელი დღის განმავლობაში ჩაბარებული ჰყავს 30-35 ბავშვი და საშუალოდ ხელფასი აქვს 400-500 ლარი, მეტ საქმეს აკეთებს, არ იქნება სწორი. მისი თქმით, თუ შესაძლებელი იყო იმის დიფერენცირება, რომ ვიღასაც 34%-ით

მომატებოდა ხელფასი და ვიღაცას 46%-ით, რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნებოდა უფრო მეტად მომატებოდათ შრომის ანაზღაურება იმ ადამიანებს, რომლებსაც საარსებო მინიმუმზე ცოტა მაღალი ანაზღაურება აქვთ. აქვე, გამოეხმაურა თინათინ ნიბლოშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ თბილისის 2022 წლის ბიუჯეტს მხარი არ დაუჭირეს იმიტომ, რომ არ ასახავს იმ პრობლემებს, რომლებიც აწუხებს თბილისელებს.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ მერიის სტრუქტურულ ერთეულებში ხელფასების ზრდა წარმოდგენილია 10%-ით, მხოლოდ რაიონული გამგეობების კონკრეტული განყოფილების უფროსების თანამდებობაზეა წარმოდგენილი 21%-იანი მატება. რაც შეეხება სხდომაზე გაჟღერებულ სხვადასხვა პროცენტებს და თანხებს, თუ რამდენი ლარით ეზრდება ზოგიერთ თანამდებობის პირს ხელფასი, ეს არის საკრებულოს ნაწილში და გამოწვეულია იმით, რომ საკრებულოს თანამდებობის პირები, წლების განმავლობაში, არ იღებდნენ კოეფიციენტის შესაბამის შრომის ანაზღაურებას და ამ ეტაპზე წარმოდგენილია მათი ხელფასების კოეფიციენტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

გიორგი ონიანმა განაცხადა, რომ გამოდის „ქართული ოცნების" წარმომადგენლებმა ვერ გაიგეს ის ლოგიკა, თუ რას საუბრობს ოპოზიცია და უფრო გულწრფელი იქნებოდა ეთქვათ, „გავიგეთ, მაგრამ არ ვიზიარებთ", რადგან გაუგებარი არაფერია იმაში, რომ ტექნიკურად ყველასთვის 10%-ის მომატება ოპოზიციას მიზანშეწონილად არ მიაჩნია და თვლის, რომ უმჯობესი იქნებოდა, დაბალ თანამდებობაზე მყოფ პირებს, რომლებსაც აქვთ 1000-1200 ლარი ხელფასი, შრომის ანაზღაურება მომატებოდათ უფრო მეტი პროცენტით, ხოლო მათ, ვისაც 4000-5000 ლარი აქვთ ხელფასი, შრომის ანაზღაურება მომატებოდათ უფრო ნაკლები პროცენტით. არავინ ამბობს იმას, რომ მაღალი და დაბალი თანამდებობის პირების ხელფასებს შორის განსხვავება აღარ უნდა ყოფილიყო და არც იმას, რომ იმდენად შეცვლილიყო პროცენტები, რომ განსხვავებას მოეკლო. მისი თქმით, ამ ლოგიკაში არაფერია გაუგებარია და ბევრად უფრო გაუგებარია ის, როდესაც „ქართული ოცნების" წარმომადგენელი აცხადებს, რომ იმიტომ უნდა ჰქონდეს მაღალი ხელფასი, რომ დაამტკიცა მილიონიანი ან ასმილიონიანი გრგ.

ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ ქვეყანაში იმდენად რთული ეკონომიკური ვითარებაა და იმდენად დაცემულია ლარის მსყიდველობითუნარიანობა, რომ, თუნდაც ერთი წლის წინ, 1000 ლარით აბსოლიტურად სხვა პროდუქტის ყიდვა შეიძლებოდა. მისი თქმით, „ქვეყანა დგას კარგ ჩინოვნიკებზე" და მათ უნდა ჰქონდეთ კარგი ანაზღაურება, რომ არ ეძებოს სხვა სამსახური. ჩვენ ვსაუბრობთ პროპორციულობაზე, იქიდან გამომდინარე, რომ ნებისმიერი ადამიანისთვის ერთნაირად მოიმატა ამა თუ იმ პროდუქტის, მომსახურების და ზოგადად, ყველაფრის ფასმა.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ქვეყნის მასშტაბით, საჯარო სამსახურებში მექანიკურად, ყოველგვარი პროპორციის დაცვის გარეშე, უნდა გაიზარდოს ხელფასები 10%-ით და ამის ასახვა ხდება მუნიციპალიტეტების საშტატო ნუსხაში. ხოლო, თუ საუბარია იმაზე, რომ ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ფულს არ აქვს ის მსყიდველობითი უნარი, რაც ჰქონდა წლების წინ და კიდევ უნდა გაიზარდოს საჯარო მოხელეების ანაზღაურება, ეს არის სამომავლო განხილვის საგანი.

სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ საჯარო სექტორში გადასახედი იყო პოლიტიკა, ცენტრალური ხელისუფლების მიერ, კანონით განისაზღვრა, რომ 2022 წლიდან უნდა მოხდეს შრომის ანაზღაურების მატება. ამასთანავე, ამავე კანონში ჩაიწერა, რომ ამ საკითხის გადახედვა და შესაბამისი წესების დადგენა უნდა განხორციელდეს 2023 წლიდანაც, რითიც განისაზღვრა, რომ საჯარო სექტორში პოლიტიკა მუდმივად უნდა პროგრესირდეს. რაც შეეხება 10%-იანი ზრდის პროპორციის დაცვას და სამართლიანობას, ის მოსაზრება, რომ გარკვეულ ნაწილს უფრო მეტი პროცენტით გაეზარდოს ხელფასი და გარკვეულ ნაწილს - უფრო ნაკლებით, მაშინ, როდესაც უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა რჩება იგივე, იქნებოდა არასამართლიანი და ეს პროპორცია დაცული უნდა ყოფილიყო ამ მიმართულებითაც.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ ამ პროექტითაც წარმოდგენილია შრომის ანაზღაურების 10%-იანი მატება, თუმცა, ამ შემთხვევაში არის ერთი დაზუსტება, რომელიც ეხება რაიონულ გამგეობებში საუბნო განყოფილებების უფროსების ხელფასების გათანაბრებას ამავე რანგის თანამდებობის პირების ხელფასებთან, რაც იწვევს მათთვის შრომის ანაზღაურების მატებას განსხვავებული პროცენტული მაჩვენებლით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, განისაზღვრება საკრებულოს არათანამდებობის პირების მიერ შესრულებულ დავალებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი. კერძოდ, ამ ხარჯების ანაზღაურება ხდება დადგენილი ფორმების შესაბამისად, როგორც კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეების, ასევე საკრებულოს თავმჯდომარის მიერ. პროექტით ასევე, წარმოდგენილია საკრებულოს მაჟორიტარი წევრების წარმომადგენლობებში ე.წ. ბიუროებში ცვლილება, რომლის მიხედვითაც წარმომადგენლობის თანამშრომელთაგან ერთ-ერთი ასრულებს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ფუნქციებს, ხოლო დანარჩენი დასაქმებული თანამშრომლები იკავებენ სპეციალისტის თანამდებობებს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის

კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განაცხადა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით დეტალური მსჯელობა იყო მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების განხილვისას და თუ ვინმეს აქვს დამატებითი კითხვები, მზად არის უპასუხოს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2022 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილია ხელფასების ზრდა 10%-ით და შესაბამისად, საკრებულოს ფრაქციისთვის, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება სამი წევრით, ფრაქციის ყოველთვიური სახელფასო ლიმიტი განისაზღვრება არაუმეტეს 5500 ლარით, ხოლო იმ ფრაქციისთვის, რომლის წევრთა რაოდენობა აღემატება სამ წევრს - ფრაქციის ყოველ მომდევნო წევრზე 1430 ლარით. აქვე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით, ფრაქციას ეძლევა გაუხარჯავი თანხის შემდეგ თვეში გადატანის საშუალება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

9. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში მდებარე 47.59 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007.01.1049) და ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში მდებარე 40.44 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007.01.1050) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 88 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2012 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

10. „ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის I შესახვევი N5-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.11.026.027) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს

უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 79 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომლებიც 2002-08 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ საქართველოს საპატრიარქოს გადაეცემა დემონტირებული საბავშვო ბაღის ინვენტარი, რომლის ნარჩენი ღირებულება შეადგენს 4500 ლარს, შემდგომში სკოლა-პანსიონატისთვის გადაცემის მიზნით.

ცოტნე კობერიძე დაინტერესდა, რატომ ვჩუქნით საპატრიარქოს ქონებას მაშინ, როდესაც შესაძლებელია ეს ქონება გადავცეთ გაჭირვებულ ადამიანებს.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტი საკუთრებაში არსებულ ქონებას გადასცემს არა მხოლოდ საპატრიარქოს, არამედ ბევრ სხვა ორგანიზაციას, მათ შორის არასმთავრობო ორგანიზაციებს, სსიპ-ებს, ა(ა)იპ-ებს და ა.შ. მისი თქმით, მუნიციპალიტეტი ვერაფერში გამოიყენებს ზემოთ ხსენებულ მოძრავ ქონებას, რადგან ამ ინვენტარს ვერ შეიტანს ახალ აშენებულ ბაღში.

ირაკლი ხელაძემ განმარტა, რომ ამ შემთხვევაში, საპატრიარქო არის შუამავალი რგოლი, რომ თამარ მეფის სკოლა-პანსიონატმა მიიღოს გაზქურები, რასაც გამოიყენებს იგივე მიზნობრიობით, როგორც იყენებდნენ ბაღში - დაამზადებენ საჭმელს ბავშვების გამოსაკვებად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

12. „ქალაქ თბილისში, საყვირის ქუჩა N2-ის კორპუსი N2-ში, კორპუსი N4-სა და კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.167) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 269 კვ.მ. ფართის გადაცემა შვიდი ოჯახისთვის, რომლებიც 2007-10 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 71 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომელთაგან ერთი 2008 წლიდან, ხოლო მეორე 2010 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავარის ქუჩა N34-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 83.48 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.72.14.036.171.01.03.039) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ 2019 წელს, ახალი გენ.გეგმის დამტკიცების ფარგლებში, გარდამავალ პერიოდში, კოეფიციენტის ზრდასთან დაკავშირებით შემოსულ განცხადებებზე, ის მოთხოვნები, რომლებიც დავაკმაყოფილეთ, მოვთხოვეთ გაზრდილი მოცულობის 10%-ის ფართის გადმოცემა მუნიციპალიტეტისთვის. ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტს, საერთო ჯამში, დაუგროვდა 12000 კვ.მ. ფართი, თეთრი კარკასის მდგომარეობით, რომელიც რეალურად მიმართული უნდა იყოს თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრები უსახლკარო ადამიანების საცხოვრისით უზრუნველყოფისკენ, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ, ხშირ შემთხვევაში, ეს ფართები არის მაღალი ღირებულების და ერთი ბინის ფასად შეგვიძლია ორი ან სამი ბინის შეძენა, ეს ბინები გაგვაქვს აუქციონზე და მათი რეალიზაციიდან მიღებული თანხით ვყიდულობთ ახალ ბინებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სოფელ დიღომში, დავარის ქუჩა N34-ში მდებარე ბინა ორჯერ გავიტანეთ აუქციონზე, თუმცა არ მოხდა მისი შესყიდვა და იმ კომპანიამ, რომელმაც, თავის დროზე, გადმოგვცა ეს ბინა, შემოგვთავაზა 15%-იანი ფასდაკლებით მისი შესყიდვა და აქედან გამომდინარე, მესამედ გაგვაქვს აუქციონზე 15%-იანი ფასდაკლებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქ.თბილისში, დიღმის მასივი, VI კვარტალი, კორპუსი N22ა-ს მიმდებარედ 46 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.03.031.022) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ელეგანტი 2017"-ისთვის (ს/ნ. 405222334) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის

ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. საიჯარო ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 5520 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „ოქსინოს" (ს/კ. 206028993) შორის 2020 წლის 31 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-513-1-24980 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ აუქციონით პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა შეზღუდვა დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე და პირობა, რომ მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდებოდა განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს მიერ პრივატიზებული მიწის ფართი იყო 370 კვ.მ., ხოლო გრგ-ს სჭირდება მინიმუმ 5000 კვ.მ. და მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ ვერ შეძლო 3131 კვ.მ.-ზე მეტი ფართობის შეკვრა, როგორც ურბანული, ასევე სხვა თვალსაზრისითაც, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ პირობის მოხსნა, რათა განვითარება მოხდეს 3131 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე. აღსანიშნავია, ისიც, რომ ამ პირობის ცვლილება არ გამოიწვევს მიწის ნაკვეთის ღირებულების გაზრდას და შესაბამისად, პირობის მოხსნა ხდება უსასყიდლოდ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

17. „ქ.თბილისი, არჩილ ამაღლობელის ქ.N24 (ს/კ. N01.14.08.007.064) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულების მიზნით, შპს „იქსორის" (ს/კ. 405168946) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით წინა მოწვევის საკრებულოში მიღებულია გადაწყვეტილება და განსაზღვრულია „კ" ზღვრული მაჩვენებლები. ამ ეტაპზე, ნებართვის აღების მიზნებისთვის, წარმოდგენილია დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც ემატება ტექნიკური ხასიათის ჩანაწერი, რომ „მიწათსარგებლობის გენ.გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონის რეგლამენტის მიუხედავად, არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფუნქციით".

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

18. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ქსანი თაუერის" (ს/წ. 405475034) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ქსნის ქ.N28 (ს/კ. N01.12.08.003.003) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით წინა მოწვევის საკრებულოში მიღებულია გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც შპს „ქსანი თაუერს", შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში, ქსნის ქუჩა N28-ში მიენიჭა კ2 კოეფიციენტის გადამეტების უფლება. იქიდან გამომდინარე, რომ ინვესტორს სურს ნამატი კოეფიციენტი განისაზღვროს საცხოვრებელი ფუნქციით და მასზე არ გავრცელდეს N14-39 დადგენილების 24 მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი რეგულირება, რომელიც მოიცავს სიღრმეს და ამასთანავე ის აანაზღაურებს საცხოვრებელი ფუნქციის განსაზღვრისთვის დაწესებულ საფასურს 4%-ის ოდენობით, რომელსაც გადასცემს ქალაქს, წარმოდგენილია დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებები, რომელიც მოიცავს ზემოთ ხსენებულ პრეფერენციებს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

19. „ქ.თბილისი, გორგასლის ქ.34-ში (ს/კ. N01.18.09.004.058, N01.18.09.004.059, N01.18.09.004.060) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს „მეტი დეველოპმენტის" (ს/წ. 404541812) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხი, რომლის ფარგლებშიც შპს „მეტი დეველოპმენტი", სამშენებლო პრეფერენციების მიღების სანაცვლოდ, დააკმაყოფილებს 111 დაზარალებულ ოჯახს. გასაცემი ფართის ჯამი შეადგენს 11946 კვ.მ.-ს. ხოლო გასაცემი თანხა - 121450 აშშ დოლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წინადადებები წარმოდგენილია თბილისის მერის წერილებით: N12-032135655-03 თარიღი: 22.12.2021, N12-03213574-03 თარიღი: 23.12.2021, N12-032136283-03 თარიღი: 28.12.2021, N12-032123924-03 თარიღი: 27.08.2021 (განსახილველად წარმოდგენილია წერილის „ა" პოზიცია) და N12-032127938-03 თარიღი: 06.10.2021 (განსახილველად წარმოდგენილია წერილის „კ" პოზიცია), რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და უმჯობესია განსახილველად გადაიდოს N12-032135655-03 წერილით წარმოდგენილი „დ" პოზიცია, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „ქ.თბილისში, ტაბახმელა, სოფელ წავკისში შპს „ტერა I ველი"-ის კუთვნილ ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 4 ივნისის N01/1094 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 118000 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მიხედვით, კერძოდ, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, გათვალისწინებული იყო 136 მიწის ნაკვეთზე, როგორც ორბინიანი, ასევე, ერთბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა. წარმოდგენილი კორექტირება ითვალისწინებს ტერიტორიის დაყოფას 107 მიწის ნაკვეთად, საიდანაც 98-ზე განთავსდება ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი, ხოლო დანარჩენი ნაკვეთები დაეთმობა რეკრეაციას და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

22. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორია, ზონა „ა", სტალინის ქუჩა, ფიროსმანის ქუჩა, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.20.01.119.007; N01.20.01.119.009; N01.20.01.089.084; N01.20.01.119.006; N01.20.01.119.004; N01.20.01.119.002; N01.20.01.089.087; N01.20.01.089.085; N01.20.01.109.081; N01.20.01.109.084; N01.20.01.109.085; N01.20.01.109.087; N01.20.01.110.028; N01.20.01.110.029; N01.20.01.110.030; N01.20.01.119.005; N01.20.01.119.003; N01.20.01.119.001; N01.20.01.089.089; N01.20.01.109.094; N01.20.01.088.131; N01.20.01.109.080; N01.20.01.110.023; N01.20.01.110.026;

N01.20.01.110.027; N01.20.01.110.025; N01.20.01.088.134; N01.20.01.109.083; N01.20.01.109.092; N01.20.01.109.093; N01.20.01.109.091; N01.20.01.088.133; N01.20.01.088.132; N01.20.01.089.091; N01.20.01.089.090; N01.20.01.089.088; N01.20.01.089.086; N01.20.01.110.024; N01.20.01.110.031; N01.20.01.109.086; N01.20.01.109.089; N01.20.01.109.090; N01.20.01.109.082; N01.20.01.109.079; N01.20.01.109.078; N01.20.01.109.088) სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 89000 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია 2021 წლის 24 სექტემბერს დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მიხედვით, კერძოდ, სარეკრეაციო ზონა 3-ის პარამეტრებით, განთავსდება ჩვიდმეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიაზე აკძალულია ღობეების მოწყობა და ძირითადი ნაწილი შენარჩუნდება საზოგადოებრივ სივრცედ და დაეთმობა რეკრეაციას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წლის დღესასწაული, წარმატებები უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ მომავალ წელს, ერთობლივად ბევრ კარგ საქმეს გააკეთებენ. გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 8 დადგენილება და 14 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი